პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 105 (3589)

30 მაისი, ხუთშაბათი. 1968 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

## პირველად, პირველად...

გუშინწინ ჩვენი ქვეყნის 9 ქალაქში გაიმართა ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. აი, რას გვატყობინებენ მათ შესახებ საქდესის კორესპონდენტები.

„პახტაკორი" (ტაშკენტი) — „არარატი" (ერევანი) 4:0 (1:0). გულშემატკივრებმა, რომლებმაც წმინდად შეინახეს „პახტაკორისადმი" ერთგულება, ბოლოსდაბოლოს გაიხარეს. მათ იხილეს თავიანთი კოლექტივის სალი და აზარტული თამაში. ტაშკენტელები განსაკუთრებით მადლობელი არიან აბდურაიმოვისა, რომელმაც 47-ე წუთზე ოსტატურად აუარა გვერდი მეტოქის სამ მცველს და გაზარდა ანგარიში, 57-ე წუთზე ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, ხოლო 75-ე წუთზე კუთხურიდან მოჭრილი ბურთი პირდაპირ „არარატის" კარში გაგზავნა. აბდურაიმოვმა მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთ გოლში — 22-ე წუთზე მან კუთხურის ალმიდან ჩამოაწოდა ბურთი, რომელიც თავური დარტყმით გაიტანა ნახევარმცველმა იუნუსოვმა.

„ნეფტჩი" (ბაქო) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 2:1 (2:1). ძლიერი ქარი გამუდმებით უცვლიდა ბურთს მიმართულებას და რევდა ფეხბურთელთა დაწყობილ გეგმებს. და მაინც, თამაში საინტერესო იყო. ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა ტუაევმა. სპარტაკელთა დაუბერებელმა კაპიტანმა ჰუსაინოვმა მე-19 წუთზე გაათანაბრა იგი. პირველი ტაიმის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა სმოლნიკოვმა თავისი კოლექტივი დააწინაურა.

„დინამო" (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:1 (0:1). საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტის კარში ერთადერთი გოლი მე-20 წუთზე გაიტანა მოსკოველმა ატამალიანმა.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:1 (1:1). სტუმრებმა ტემპერამენტით და აზრიანად ითამაშეს. განსაკუთრებით კარგად მოქმედებდა სეჩენი, რომლის ბრწყინვალე რეიდი 21-ე წუთზე ლენინგრადელთა კარის აღებით დამთავრდა. ოდესელებს ამის შემდეგაც ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლეს. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ლენინგრადელთა მცველმა იზვეკოვმა წონასწორობა აღადგინა.

„დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კიევი) 0:0. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდა ადამოვს. მინსკელი თავდამსხმელი დიდი სისწრაფით შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში, მაგრამ უხეიროდ დაარტყა კარში. ვალში არც კიეველები დარჩენილან: მათ ორჯერ მოარტყეს ბურთი ძელს.

„შახტიორი" (დონეცკი) — ასკ (როსტოვი) 1:1 (0:1). მე-19 წუთზე დონეცკელთა მეკარემ დეგტიარევმა ბურთი საკუთარი კარიდან გამოიტანა (გოლის ავტორია ბუროვი). საპასუხო ბურთი სტუმრების კარში გაიტანა ზელკიავიჩუსმა, რომელმაც კარგად გამოიყენა თავისი კაპიტნის ლობანოვსკის მიწოდება.

„დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 3:5 (1:1). მატჩი საინტერესო გამოდგა. ტორპედოელები იოლად გადიოდნენ „დინამოს" დაცვით ხაზს და გამუდმებით ბომბავდნენ დებიუტანტ მეკარეს ო. ივანოვს. მაგრამ იყო მომენტი, როცა დინამოელები დაწინაურდნენ კიდეც — 2:1. მანამდე კი სტრელცოვმა დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ორიოდე წუთის შემდეგ დინამოელმა ეშტრეკოვმა წონასწორობა აღადგინა, შესვენების შემდეგ კი კოზლოვმა ზუსტი თავური დარტყმით ბურთი ტორპედოელთა კარში გაგზავნა.

მერე კი ავტოქარხნელთა უპირატესობა აშკარა და გადამწყვეტი გახდა. სტრელცოვმა, გერშკოვიჩმა, ჩუმაკოვმა და შალიმოვმა ანგარიში ხუთამდე გაზარდეს. მატჩის დასასრულს დინამოელმა გუსაროვმა 11-მეტრიანი დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

როგორც ხედავთ, განვლილმა ტურმა რამდენიმე სიურპრიზი შვა. მაგალითად, პირველად იწვნიეს მარცხის სიმწარე მოსკოვის სპარტაკელებმა, პირველად იზეიმა გამარჯვება ტაშკენტის „პახტაკორმა", პირველად ერთ მატჩში ერთმანეთს 8 გოლი გავიდა, პირველი მარცხი განიცადა თავის მინდორზე ლუგანსკის „ზარიამ"...

## ალმა-ათასა და ლუგანსკში

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 28 მაისი.

„კაირატი" (ალმა-ათა) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„კაირატი": ბუბენეცი, დიშლენკო, იშჩენკო, კამინსკი, ასილბაევი, ციპკუნი, ქუიკოვი (ეგოროვი), მუსინი (ფედოტოვი), აბგოლცი, ვოლოხი, ტიაგუსოვი.

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კუტივაძე, გავაშელი, სიჭინავა, მესხი (ქიქავა).

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:2.

* * *

ლუგანსკი. „ავანგარდის" სტადიონი. 28 მაისი.

„ზარია" (ლუგანსკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:1 (0:1).

„ზარია": ტკაჩენკო, შულჟენკო, რაშჩუპკინი, დეგტიარევი, შკლიარი, გალუსტოვი (ლიტვინოვი), ბალაბა (კუზნეცოვი), მუსიენკო, სატაევი, შაკუნი, რაზდაევი.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, წვერავა, ერქომაიშვილი, ზარია, ვეკუა, ხუციშვილი, ჭოლაძე.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

ბურთი 36-ე წუთზე გაიტანა ვეკუამ.

დუბლიორები — 4:0 ლუგანსკელთა სასარგებლოდ.

## ოსტრავაში სათამაშოდ

მოსკოვი, 29 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ გუნდთან საპასუხო შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად დღეს ოსტრავას გაემგზავრა სსრ კავშირის ნაკრების 18 ფეხბურთელი: ი. პშენიჩნიკოვი, ე. რუდაკოვი, ვ. ანიჩკინი, ვ. აფონინი, ი. ისტომინი, ვ. კაპლიჩნი, ვ. ლევჩენკო, გ. ლოგოფეტი, მ. ხურცილავა, ა. შესტერნიოვი, ა. ლენიოვი, ე. მალოფეევი, კ. ასათიანი, ა. ბანიშევსკი, ა. ბიშოვეცი, გ. ევრიუჟიხინი, გ. ნოდია და ი. ჩისლენკო.

როგორც ცნობილია, ამ გუნდების ამასწინანდელი მატჩი მოსკოვში საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. შესაძლოა, ჩეხოსლოვაკიელებმა ოსტრავაში რევანში აიღონ. თუ ისინი ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვებენ, მაშინ მსაჯი დამატებით დროს (ორი 15-წუთიანი ტაიმი) დანიშნავს. თუ ესეც არ შეცვლის გატანილი და მიღებული ბურთების საყაიმო ბალანსს, მაშინ მოხდება წილისყრა. „ბედნიერი" გუნდი მექსიკის საგზურს მიიღებს.




## „I" ლიგა

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 30 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 11 | 5 | 6 | 0 | 13—5 | 16 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 10 | 6 | 3 | 1 | 18—8 | 15 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 10 | 5 | 3 | 2 | 17—9 | 13 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 10 | 5 | 3 | 2 | 9—4 | 13 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 10 | 5 | 3 | 2 | 12—7 | 13 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 10 | 5 | 2 | 3 | 10—4 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 4 | 4 | 2 | 8—4 | 12 |
| ცსკა | 10 | 3 | 5 | 2 | 9—7 | 11 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 10 | 3 | 5 | 2 | 11—11 | 11 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 10 | 3 | 5 | 2 | 8—9 | 11 |
| „დინამო" (მინსკი) | 10 | 3 | 4 | 3 | 7—5 | 10 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 10 | 1 | 7 | 2 | 8—11 | 9 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 11 | 3 | 3 | 5 | 10—15 | 9 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 11 | 3 | 3 | 5 | 6—13 | 9 |
| ასკ (როსტოვი) | 10 | 2 | 4 | 4 | 12—16 | 8 |
| „არარატი" (ერევანი) | 10 | 2 | 3 | 5 | 8—12 | 7 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 10 | 1 | 5 | 4 | 10—15 | 7 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 11 | 2 | 3 | 6 | 9—15 | 7 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 10 | 2 | 2 | 6 | 6—12 | 6 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 10 | 1 | 3 | 6 | 4—13 | 5 |

## ახალი სპორტის ოსტატი

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის 14 ტურის შემდეგ (დასკვნითი, XV ტურის წინ) ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობა იყო: ნ. ალექსანდრია — 10, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ა. ჩაიკოვსკაია—9,5-9,5, ც. კობაიძე — 9, კ. ვრეკენი (ჰოლანდია), კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — 8,5-8,5, ე. კაკაბაძე — 8, კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ე. პოლიქრონიადი (რუმინეთი) — 7,5-7,5.

გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება. XIII ტურის: ჩაიკოვსკაია — ალექსანდრია 1:0, ხუგაშვილი — კობაიძე 0:1, ნიუნპერტი—კახაბრიშვილი 0,5:0,5, ვრეკენი — რაძიკოვსკა 0,5:0,5, XIV ტურის: ზატულოვსკაია — ვერეცი 0,5:0,5, ნიუნპერტი — რაძიკოვსკა 0,5:0,5.

თამაშის განახლებისას ჩაიკოვსკაიამ ალექსანდრიასთან გადადებულ პარტიაში უზუსტესი სვლებით მეტოქის კონტრშანსი ჩაახშო და ორივე ეტლით მის ბანაკში შეიჭრა. 47-ე სვლაზე ალექსანდრიამ საათი გააჩერა.

ზატულოვსკაიას ვერეცისთან შეხვედრაში მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, მაგრამ უნგრელის მხრიდან მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა. მიუხედავად იმისა, რომ გამვლელი პაიკის ამოძრავება შეძლო, ბაქოელი ოსტატი მაინც ვერას გახდა: ყაიმი გარდუვალი აღმოჩნდა.

კობაიძემ ხუგაშვილთან პარტიაში რამდენიმე სვლით კიდევ უფრო უტყუარი გახადა თავისი უპირატესობა. როგორც კი ხუგაშვილი დანებდა, კობაიძეს მეგობრები შემოეხვივნენ და სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება მიულოცეს.

თ. გიორგაძე.



ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ფინიშზე 18 წლის ციური კობაიძემ ხასიათის დიდი სიმტკიცე გამოიჩინა, როცა სპორტის ოსტატის ნორმატივის (9 ქულა) შესრულების რეალური შანსი მიეცა. იგი ყოველ პარტიაში წინდახედულად, მუყაითად იბრძოდა. და აი, XIV ტურში ოცნება ახდა: ახალგაზრდა მოჭადრაკემ 9 ქულა მოაგროვა!

კობაიძე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია. თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სკოლის (მწვრთნელი ო. ალხანიშვილი) აღზრდილს ბევრ შეჯიბრებაში უსახელებია თავი. აღსანიშნავია, რომ გოგონათა 1967 წლის საკავშირო ჩემპიონატში მან I ადგილი დაიკავა.

კობაიძე საქართველოში მეექვსე მოჭადრაკე ქალია, რომელმაც სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მოიპოვა.

• • •

სურათზე: ც. კობაიძე (მარცხნივ) თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**როცა გაზეთი დაიბეჭდა დასაბეჭდად მზად იყო...**

## ნანა ალექსანდრია — I ადგილზე

გუშინ, ტურნირის ბოლო ტურში, ნ. ალექსანდრიამ დაამარცხა ნ. ხუბულური და 11 ქულით I ადგილი გაინაღდა.

## სპორტული საათი!

◆ პარიზი, 29 მაისი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის სტარტზე მოსკოველმა გ. ბაკშეევამ დაამარცხა ე. ლუნდკვისტი (შვეცია) — 7:5, 3:6, 8:6. ეს შეჯიბრება პირველი დიდი „ოპენ-ტურნირია", რომელშიც მოყვარულებსაც შეუძლიათ ასპარეზობა და პროფესიონალებსაც. „განთესილი" მოთამაშეების სიებს სათავეში სწორედ პროფესიონალები ჩაუდგნენ: ვაჟებში — ავსტრალიელი რ. ლეივერი, ქალებში — ამერიკელი ბ.-ჯ. კინგი. საფრანგეთის მშრომელთა საყოველთაო გაფიცვით გამოწვეული სატრანსპორტო სიძნელეების გამო პარიზში ჯერ კიდევ 70-მდე ჩოგბურთელმა ვერ ჩამოაღწია, მათ შორის, ბევრმა ლიდერმა. თვით ქალაქში ტურნირის მონაწილენი ზოგჯერ ველოსიპედსაც კი იყენებენ შეჯიბრების ადგილზე მისასვლელად: ავტომანქანებს ბენზინის ნაკლებობის გამო მათ არ აძლევენ.

◆ ნევშატელი (შვეიცარია), 29 მაისი. ევროპის აფროსანთა პირველობაზე „5,5" კლასში კარგად აიღო სტარტი მოსკოველმა კ. ალექსანდროვმა (იქნებ შემთხვევით არ ჰქვია მის ნავს „ნადეჟდა"). საბჭოთა ვეტერანი პირველ რბოლაში მესამე იყო, — 48 მეტოქეში, რომელთა შორის ნორვეგიის კრონ-პრინცი ჰარალდიც იყო, მან წინ მხოლოდ რ. ჰარმსტორფი (გფრ) და ლ. ნოვერაზი (შვეიცარია) გაუშვა.

◆ ჰავანა, 29 მაისი. „ბარიენტესის მემორიალში", რომელშიც 8 ქვეყნის მძლეოსნები ასპარეზობდნენ, ბადროს ტყორცნაში ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ა. პოპოვამ — 53,69 მ. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ მასპინძლები: 19 წლის ქალიშვილმა მ. ელეხალდემ „ოქროს დუბლი" გააკეთა — ყველას აჯობა 100 (11,6 წამი) და 200 მეტრზე (24,3) რბენაში; 4 × 100 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იზბინა ცნობილმა ე. ფიგუეროლამ. გუნდის შედეგი კარგია — 40,3.



# რეკორდი და... უიმედო შედეგები




საბჭოთა სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე თითქმის ყველა სახეობაში ახლა უფრო მეტი სერიოზული მეტოქე ჰყავთ, ვიდრე ოდესმე. ვეტერანებს უჭირთ ადრე მოპოვებული პოზიციების შენარჩუნება, ახალგაზრდებს კი დიდ ბრძოლებში მონაწილეობის გამოცდილება ჯერჯერობით არ ჰყოფნით. მოზარდთა თამაშების ჩატარებასაც სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს. ამ ასპარეზობამ უნდა გამოავლინოს კანდიდატები ქვეყნის იმ ნაკრებისა, რომელიც XX ოლიმპიური თამაშებისთვის მოემზადება, მანამდე კი ევროპისა და მსოფლიოს პირველობებში, საერთაშორისო შეხვედრებში დაოსტატდება.

I საკავშირო საზაფხულო თამაშებში საქართველოს გუნდებიც გამოვლენ. უკვე დაიწყო საუკეთესოთა შესარჩევი რესპუბლიკური შეჯიბრება. მძლეოსანთა ტურნირი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, დამთავრდა კიდეც. I ჯგუფის გუნდებს (თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, ქუთაისი) ოც-ოცი სპორტსმენის გამოყვანის უფლება ჰქონდათ, II ჯგუფის კოლექტივებს (სამხრეთ ოსეთი, რუსთავი, გორი, ფოთი, ზუგდიდი, მახარაძე, სამტრედია, ხაშური, ახალციხე, თელავი, გარდაბანი) ათ-ათისა, მაგრამ ბევრი კოლექტივი სრული გუნდით ვერ ჩამოვიდა, ახალციხის, თელავისა და გარდაბნის რაიონებმა კი შეჯიბრებას საერთოდ აარიდეს თავი.

დებულება საგრძნობლად აიოლებდა ამოცანას — ჩათვლაში თითო შედეგი შედიოდა, ესტაფეტებში კი ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ამოირჩეოდა. მონაწილეთა რიცხვის ამგვარი განსაზღვრა გუნდების ხელმძღვანელებს დიდ შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ ამას ნაყოფი არ მოუტანია. ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ 17-18 წლის მოზარდების სახით საიმედო ცვლა არ გვყავს. ამ ასაკში სპორტსმენი უკვე კარგ შედეგებს უნდა აღწევდეს, ტურნირში კი მხოლოდ შვიდმა აჩვენა პირველი თანრიგის ნორმატივი.

ასპარეზობისადმი ინტერესი ერთგვარად გაზარდა საქართველოს ნაკრების წევრთა მონაწილეობამ (ისინი 30-31 მაისს კიშინიოვში გამოვლენ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მორიგ მატჩში), მაგრამ საერთო მაჩვენებლები მეტად დაბალი იყო. გამონაკლისი გახლდათ თბილისელი ა. მოშიაშვილი, რომელმაც I თანრიგის შედეგებით მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენი (15,2) და 100 მეტრზე რბენა (11,0). კარგად გამოვიდა ლიუდმილა კორკოტაძე. 400 მეტრზე რბენაში მან სტარტზევე მარცხი იწვნია (ორი ცრუ სტარტის გამო ამ სახეობაში შეჯიბრებიდან მოიხსნა), მაგრამ 200 მეტრზე რბენასა (27,0) და სიმაღლეზე ხტომაში (145 სმ) მაინც არავის დაუთმო გამარჯვება.

ქების ღირსია ჯ. გაფრინდაშვილი, რომელიც სხვა მონაწილეებზე უმცროსი იყო და ამიტომ უროს (7,257 კგ) ტყორცნაში უკონკურსოდ გამოვიდა. მან არა მარტო საუკეთესო შედეგი აჩვენა, არამედ პირველი თანრიგის ნორმატივსაც მიაღწია (55,48 მ). გაფრინდაშვილმა 116 სანტიმეტრით გააუმჯობესა უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც წლეულს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ჩერკაშინმა დაამყარა.

თამაშების ჩემპიონობა პირველი თანრიგის შედეგებით მოიპოვეს შუბის მტყორცნელმა ნ. ზვიადაურმა (თბილისი, 65,37) და ქუთაისელმა ათჭიდელმა ა. კუცოვმა, რომელმაც 5749 ქულა დააგროვა.

ორ-ორი გამარჯვება იზეიმეს გრეტა ბერაიამ და ზ. ქავზინაძემ (ორივე — თბილისი). ბერაიამ მოიგო ბადროს ტყორცნა (39,86) და ბირთვის კვრა (11,86), ქავზინაძემ — 800 (1.59.0) და 1500 (4.14,4) მეტრზე რბენა. ამასთან, მათ II თანრიგზე უკეთესი შედეგები აჩვენეს.

რაიონებში ბაზების უქმარისობის შედეგი ამ ტურნირშიც თვალნათლივ გამოჩნდა: თარჯრბენში, ჭოკით ხტომაში, უროს ტყორცნაში უმეტესად მხოლოდ თბილისელები ასპარეზობდნენ, 110 მეტრზე თარჯრბენში კი პირველობისთვის მარტო მოშიაშვილი იბრძოდა.

მეტად უხეირო შედეგებით დაამთავრეს შეჯიბრება 400 და 800 მეტრზე მორბენალმა ქალებმა, სიგრძეზე და ჭოკით მხტომელმა ვაჟებმა. გამარჯვებულებმა ძლივს აჩვენეს III თანრიგის ნორმატივი; 400 მეტრზე თარჯრბენში კი ამ თანრიგსაც ვერავინ შესწვდა.

ერთი სიტყვით, საიმედო ჯერჯერობით ბევრი არაფერი ჩანს. თუ მწვრთნელებმა მდგომარეობის გამოსწორებისთვის აქედანვე არ იზრუნეს, სსრ კავშირის ხალხთა მორიგ სპარტაკიადაში სანახევროდ დაკომპლექტებული გუნდითაც ვერ გავალთ. აღარას ვამბობთ მომავალ საკავშირო თამაშებზე.

**ო. ბელაშვილი.**

* * *

### გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები

**ქალები. 100 მ** — ნ. ლომიძე (თბილისი) — 12,5, **400 მ** — ვ. არალოვა (აფხაზეთი) — 1.05,2, **800 მ** — ე. ბაგიაევა (სამხრეთ ოსეთი) — 2.30,4, **80 მ თარჯრბენი** — ლ. ზგონიკოვა — 11,9, **შუბის ტყორცნა** — დ. საბაური (ორივე — თბილისი) — 41,40, **სიგრძეზე ხტომა** — ო. მიხაილოვა — 517, **ხუთჭიდი** — მ. პოპოვა (ორივე — აფხაზეთი) — 3530, **ესტაფეტა 4×100 მ** — თბილისი — 51,2; **ვაჟები. 200 მ** — ა. ჩუბინიშვილი — 23,0, **400 მ** — რ. კორინევიჩი — 52,5, **3000 მ** — ა. მიქოიანი — 9.21,7, **400 მ თარჯრბენი** — ნ. ძუმა (ყველა — თბილისი) — 1.06,3, **1500 მ წინაღობებით** — მიქოიანი — 4.33,2, **სიმაღლეზე ხტომა** — გ. მებონია (თბილისი, პირადი) — 180, **სიგრძეზე ხტომა** — ე. ფარსადანოვი (ქუთაისი) — 628, **სამხტომი** — ა. შაბანოვი (აფხაზეთი) — 13,78, **ჭოკით ხტომა** — გ. ხართიშვილი (თბილისი, პირადი), — 340, **ბადროს ტყორცნა** — ს. დოლბაშვილი (თბილისი) — 41,60, **ბირთვის კვრა** — თ. ბლიაძე (გორი) — 13.05, **10 კმ სპორტული სიარული** — ო. დედრაშვილი (თბილისი, პირადი) — 51.39,0, **ესტაფეტა 4×100 მ** — თბილისი — 45,4.

**გუნდური შედეგები. I ჯგუფი.** 1. თბილისი — 22.247, 2. აფხაზეთი — 17.528, 3. ქუთაისი — 16.444. **II ჯგუფი.** 1. სამხრეთ ოსეთი — 11.417, 2. გორი — 10.232, 3. მახარაძე — 10.147.

* * *





**სურათებზე:** მარცხნივ — ლ. კორკოტაძე სტარტისთვის ემზადება; მარჯვნივ — ჭაბუკთა ფინალური გარბენი 100 მეტრზე.

ფოტო ავტორისა.

---

## ფრენბურთი

### მწვრთნელის ტრიბუნა

# 10 რჩევა

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ფრენბურთს 140 ათასი კაცი თამაშობს. მაგრამ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა ამ მასობრიობას არ შეეფარდება და ამიტომ ჩვენი ფრენბურთელების შედეგები საკავშირო სარბიელზე ერთობ მოკრძალებულია. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მათგან მთავარი კი მწვრთნელთა უმეტესობის დაბალი კვალიფიკაცია გახლავთ. დასამალი არაა, რომ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში კიდევ ბევრი ნაკლოვანება შეინიშნება.

თამაშის წესებში 1965 წელს შეტანილმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა (ბურთის მოწოდებისთვის განკუთვნილი დროის შეზღუდვა 5 წამამდე, ბლოკის დაყენებისას ხელების ბადეზე გადატანის უფლება და სხვ.) ბევრი პრობლემა წარმოშვა ფრენბურთში. ამ ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებლად საჭიროა, რომ რესპუბლიკის ინსტრუქტორ-მწვრთნელები, აგრეთვე, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მწვრთნელები კარგად იყვნენ მომზადებული. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. ამირანაშვილი მათ აძლევს 10 რჩევას, რასაც საფუძვლად საგულდაგულო კვლევითი მუშაობა უდევს. ვფიქრობთ, ეს დახმარებას გაუწევს რესპუბლიკის რაიონში მომუშავე სპეციალისტებს.

რჩევა პირველი. **ნუ შემოფარგლავთ ფრენბურთის თამაშს მარტო ქულებით, გაითვალისწინეთ თამაშის დროც.**

ცნობილია, რომ ფრენბურთელთა ზოგიერთი, სპორტულად ძალიან დაძაბული მატჩი 2-3 საათს გრძელდება, ზოგჯერ კი პირიქით ხდება — შეხვედრა 25-30 წუთში მთავრდება.

ჩვენ დაკვირვებით შევისწავლეთ სსრ კავშირის „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა 12 გუნდის 20 მატჩი. სოხუმში გამართული ამ შეხვედრებიდან ყველაზე დიდხანს (1 საათი და 55 წუთი) გაგრძელდა ალმა-ათის ადკ-სა და ვილნიუსის „ბურევესტნიკის“ თამაში, ხოლო ყველაზე ცოტა დრო (40 წუთი) დასჭირდა აშხაბადის „ზახმეტის“ და კრასნოდარის „დინამოს“ შეხვედრას. ყველაზე ხანგრძლივი პარტია (მეორე, 45 წუთი) ითამაშეს თბილისელმა და ლვოველმა ბურევესტნიკელებმა, ყველაზე მოკლე (მეორე, 9 წუთი) — მოსკოვის „სპარტაკმა“ და ფრუნზეს „ალგამ“.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პარტიების უმრავლესობა 15-ქულიანი ანგარიშით მთავრდებოდა, მათი ხანგრძლიობა ძალიან განსხვავებული იყო.

ჩვენ შევისწავლეთ, აგრეთვე, საქართველოს 8 უძლიერესი გუნდის 15 მატჩის შედეგებიც. განსხვავება თამაშის დროში აქაც დიდი იყო. მაგალითად, ერთი შეხვედრა სულ 27 წუთს გაგრძელდა, მეორე კი, ყველაზე ხანგრძლივი — 2 საათს. ამავე ტურნირში პარტიების ნაწილი 30 წუთს გრძელდებოდა, ხოლო ერთი „სარეკორდო“ დროში — 8 წუთში დამთავრდა.

როგორც ხედავთ, ფრენბურთს აქვს თავისი სპეციფიკური თვისება, რაც თამაშის ტემპის უთანაბრობაში გამოიხატება. ამიტომ წვრთნის პროცესში მხოლოდ 15 ქულამდე თამაშით გუნდი სრულფასოვნად ვერ მოემზადება ოფიციალურ შეჯიბრებათა პერიოდისთვის. საწვრთნელ თამაშს განსაზღვრული დროის მიხედვით უნდა ვატარებდეთ. მაგალითად, I პარტია უნდა გრძელდებოდეს 10 წუთს, II — 40-45 წუთს, III — 20 წუთს, IV — 30-40 წუთს, V — 15 წუთს. ბუნებრივია, თამაშის ტემპი თვითეულ პარტიაში სხვადასხვანაირი იქნება: ნელი და სწრაფი. ამ შემთხვევაში პარტია შეიძლება 15 ქულაზე არც კი დამთავრდეს, ან პირიქით, შეიძლება ამ დროში მეტი ქულაც იქნეს მოპოვებული. ბუნებრივია, გაიმარჯვებს ის, ვინც მეტ ქულას დააგროვებს.

ერთი სიტყვით, ამგვარი ვარჯიში მოთამაშეებს ოფიციალურ შეჯიბრებათა რეალურ პირობებთან დააახლოებს.

---

# ც. აბუაშვილი სოფიაში ითამაშებს

ქალთა 5 და ვაჟთა 9 გუნდის მონაწილეობით სოხუმში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფრენბურთში.

ქალთა ტურნირი წრიული სისტემით გათამაშდა. ლენინგრადის, ოდესისა და თბილისის კოლექტივებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (3-3 გამარჯვება, თითო წაგება), ამიტომ საბოლოო ადგილები მოგებული და წაგებული პარტიების ბალანსის მიხედვით განაწილდა. I ადგილი დაიკავა ლენინგრადის გუნდმა, II — ოდესელთა კოლექტივმა, ხოლო III — თბილისელებმა. IV ადგილზე დარჩა კიევის, ხოლო V — მოსკოვის გუნდი.

ყველაზე საინტერესო გამოდგა თბილისელთა და ლენინგრადელთა მატჩი. თბილისელებმა ძლიერი მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 3:1. საკმარისია აღინიშნოს, რომ ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. თბილისელთაგან ამ მატჩში გამოირჩეოდნენ გუნდის კაპიტანი ც. აბუაშვილი და ძირითადი შემადგენლობის დებიუტანტი ნ. რუხაძე.

დაკომპლექტდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალის (სოფია) მონაწილე იქნება. ამ გუნდში შეიყვანეს აბუაშვილიც.

ვაჟთა გუნდები სამ ქვეჯგუფში ასპარეზობდნენ. თბილისელებმა მოუგეს მინსკელებს (3:2), ხოლო ალმაათელებთან დამარცხდნენ (2:3), რის შედეგადაც ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავეს და მხოლოდ IV-VI ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. აქ მათ გაიმარჯვეს ხარკოველებთან (3:2) და წააგეს ოდესელებთან (2:3) — საბოლოოდ IV ადგილი ხვდათ წილად. საპრიზო სამეული კი ასე განაწილდა: 1. მოსკოვი, 2. ბაქო, 3. მინსკი.

**ა. თევოსიანი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

---

# დღის წესრიგშია ფიზკულტურა!

**მშრომელთა** დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს მორიგი სესია მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის დღევანდელ დონეს და სამერმისო ამოცანებს მიეძღვნა.

სესიაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბუთხუზი. მან აღნიშნა, რომ გორელმა სპორტსმენებმა ბოლო წლებში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. მაგალითად, შარშან მომზადდა 5 სპორტის ოსტატი, 96 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 1578 სხვა თანრიგების სპორტსმენი და საზოგადოებრივი მუშაკი. ფიზკულტურელთა რაოდენობამ 13.375 კაცს მიაღწია. ამჟამად ქალაქს ჰყავს 18 რესპუბლიკური და 1 საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შარშან და წლევანდელი წლის პირველ კვარტალში გორში ჩატარდა 90-ზე მეტი სპორტული ღონისძიება 7.000 კაცის მონაწილეობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გორელ სამბისტთა გამარჯვება საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში, ფრენბურთელთა I, ტანმოვარჯიშეებისა და კალათბურთელების III საპრიზო ადგილები ქალთა პირველ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. გულშემატკივრები გაახარეს „დილას“ ფეხბურთელებმაც, რომლებიც „ბ“ კლასის გუნდების შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გავიდნენ. დღეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ გორელ სპორტსმენებს — სპორტის დამსახურებულ ოსტატ ანზორ ქიბროწაშვილს, საერთაშორისო კლასის ოსტატებს ვახტანგ ბორჩაშვილს და რომან მაღალთაძეს, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრს ვლადიმერ კოზინსა და სხვ. საბჭოთა ძიუდოისტების რვაკაციანი ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც შარშან რომის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, 5 გორელი იყო.

ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის 8 სტუდენტი საქართველოს ნაკრებ გუნდებშია შეყვანილი, 4 სტუდენტი სსრ კავშირის ნაკრებში გამოდის, ხოლო 10 სპორტსმენი სტუდენტთა საკავშირო ნაკრების წევრია. კარგად მუშაობენ ბამბეულის ქსოვილების კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, ქარხანა „გორიხელსაწყოს“ და სხვა ფიზკულტურის კოლექტივები.

მაგრამ სესიაზე ითქვა, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ადგილობრივი სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით საზოგადოებათა ხელმძღვანელები ნაკლებ პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობას. ამას ის ფაქტი მეტყველებს, რომ გორმა 12 ქალაქს შორის მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა. ცუდად გამოვიდნენ ჩოგბურთელები, მძლეოსნები, ტყვიის მსროლელები, მოკრივეები და ველოსიპედისტები. სპორტული მუშაობა საშუალო სკოლებშიც დაბალ დონეზეა. მაგალითად, მე-8 სკოლის ოთხ სპორტულ სექციაში მხოლოდ 64 მოსწავლეა გაერთიანებული (477 მოსწავლიდან!).

სესიაზე სიტყვით გამოვიდნენ გორის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გ. ხარაული, ქალაქის განათლების განყოფილების გამგე ვ. ზექალაშვილი, საქართველოს ალკკ გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. აბუაშვილი, საკონსერვო კომბინატის პროფკავშირის თავმჯდომარე შ. რომელაშვილი, ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ნ. დვალი, საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე ნ. სომხიშვილი, საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. სოსანიძე და სხვ.

სესიამ დასახა ღონისძიება მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზრდება 15000-მდე, მომზადდება 5 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 15 სპორტის ოსტატი, 130 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, ათასობით მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი.

**ო. ოთარაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტურიზმი — ჯანმრთელობის წყარო



## 48 საათი ბუნების წიაღში

„სპარტაკის" ამიერკავკასიის რესპუბლიკურმა საბჭოებმა ამას წინათ კოჯრის მიდამოებში ჩაატარეს კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამი მოძმე რესპუბლიკის ტურისტული შეკრება.

კიკეთ — კოჯრის გზის გასაყართან კარგად მოჩანდა ტურისტთა სამყოფელი: დაბლა თვალუწვდენი ტყის პირას გიზგიზებდა კოცონი. 80-მდე კარავი, მეგობრობის ლოზუნგები და ბანაკის თავზე მოფრიალე ალისფერი ალმები ლაზათს მატებდა მშვენიერ ბუნებას. მეგობართა მხიარულება ახმიანებდა არემარეს. მღეროდნენ და ცეკვავდნენ ტურისტები, ერთმანეთს უზიარებდნენ ბუნების წიაღში გათეული პირველი ღამის შთაბეჭდილებებს.

საზეიმო აღლუმზე შეკრებილთ გულთბილად მიესალმა „სპარტაკის" საქართველოს საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე რ. ზაალიშვილი, თბილისის ტურისტთა კლუბის დირექტორი ს. გვალია, აზერბაიჯანის წარმომადგენელი ნ. ლევენკო და სომხეთის ტურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი რ. საакიანი.

— დაე, ჩვენი დღევანდელი შეკრება ტრადიციად იქცეს. ამიერიდან ესტაფეტას ვღებულობ — გაისად ჩვენს მიწა-წყალზე გიმასპინძლებთ, — თქვა სააკიანმა.

ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა კ. გირგიდოვმა მონაწილეებს გააცნო ტურისტულ ორიენტირებაში შეჯიბრების პროგრამა. დაბურული ტყის პირას 15 გუნდმა აიღო სტარტი. 300 მეტრამდე ვაჟთა და ქალთა ბილიკი ერთი იყო, მერე სპორტსმენებს ურიგდებოდათ რუკები და აქედან იწყებოდა რუკითა და კომპასით გზის გაკვლევა, საორიენტირო პუნქტების ძიება.

ფინიშთან პირველნი გამოჩნდნენ თბილისის ტოპოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელები. საბოლოო შედეგების შეჯამებისას ყველა პირადი და გუნდური საპრიზო ადგილი ამ სასწავლებლის წარმომადგენლებს ხვდათ. თასი და ვიმპელი მოიპოვა პირველმა ნაკრებმა, II ადგილზეა მესამე გუნდი, III — მეორე ნაკრები.

ტურისტთა ბანაკი სამი დღის შემდეგ აიშალა. ბუნების წიაღში გატარებული 48 საათი დიდხანს ემახსოვრებათ მის მონაწილეებს.

თ. ბაჩეჩილაძე.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ავტორისა.

## ვიაროთ ფეხით!

ტურიზმი სიმხნევის, სიხალისის, შრომისუნარიანობისა და დღეგრძელობის უშრეტი წყაროა. თანამედროვე მასობრივი ტურიზმი და, საერთოდ, მოგზაურობის ყოველი ნაირსახეობა იწყება მისი დედა-პრინციპის მთავარი და აუცილებელი საფუძვლიდან — სიარულიდან.

ამწვანებული მინდორ-ველი და მჩქეფარე ჩანჩქერი რომ ნახო, ახვიდე ქედზე, გადაიარო უღელტეხილი, იხილო მარადი თოვლით დაფარული მთის მწვერვალები, ჯადაკვეთო მდინარეები, ტყეები, ტბები, დაათვალიერო გამოქვაბული თუ კარსტული მღვიმეები, ილაშქრო თხილამურებით დათოვლილ ფერდობებზე — აუცილებლად ფეხით უნდა იმოგზაურო.

ავტომანქანა, მატარებელი, გემი ან თვითმფრინავი მხოლოდ საშუალებაა მთავარი მიზნის (სვლიგეზისა თუ ლაშქრობის) შესასრულებლად, საწყის პუნქტზე მისვლისას და საბოლოო პუნქტიდან დაბრუნების გასაიოლებლად.

თუ გსურთ უკეთ გაიცნოთ მშობლიური მხარე — იმოგზაურეთ ფეხით!

უმარტივესი სვლიგეზით დაწყებული და ურთულესი, მრავალდღიანი ლაშქრობით დამთავრებული, მოგზაურობა ფიზიკურად გვაწრთობს და სულიერად გვამაღლებს. ტურისტმა ისე უნდა გაწვრთნას თავისი სხეული, რომ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში იოლად ეგუებოდეს როგორც სიცივეს, ისე სიცხეს, ადვილად ზიდოს მძიმე ზურგჩანთა პროდუქტების აუცილებელი მარაგით, საველე ხელსაწყოთი და საჭურველით. რაც მთავარია, ტურისტმა მუდამ უნდა იქონიოს თან კარავი და საძილე ტომარა, უნდა იცოდეს სად და რა პირობებში გაშალოს კარავი და გაათიოს ღამე, აანთოს ცეცხლი ყოველგვარ ამინდში და მოამზადოს ცხელი და გემრიელი საჭმელი. ტურისტი კარგად უნდა ერკვეოდეს გარემოში, იცოდეს რუკისა და კომპასის გამოყენება. უნდა იყოს მომთმენი, ამტანი, ბეჯითი, უშიშარი, მუდამ მზადმყოფი ამხანაგისთვის დროული დახმარების აღმოსაჩენად.

ეს ყველაფერი თავისთავად როდი მოდის. იგი წლების მანძილზე უნდა შემუშავდეს მდიდარი ტურისტული პრაქტიკის წყალობით. ხაამისოდ კი საჭირო არაა პირდაპირ ცხრა მთას იქით დავიწყოთ მოგზაურობა. სვლიგეზები და ლაშქრობის გეგმა ტურისტმა თვითონ უნდა შეიმუშაოს ერთი პრინციპით: მარტივიდან რთულისკენ. ამიტომ ახალბედა თბილისელმა ტურისტმა, მაგალითად, თვით თბილისშივე უნდა მოაწყოს მოგზაურობა.

სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე სვლიგეზს, რომელთა შესასრულებლად ძალიან ცოტა დროა საჭირო — სულ 1,5–3 საათი. ეს უმარტივესი სვლიგეზები ხელმისაწვდომია ყველასთვის, ოღონდ საჭიროა მათი რეგულარული შესრულება კვირაში ერთხელ მაინც ერთი პირობით: გასვლა — შაბათს ან კვირას დილის 6–7 საათზე, მსუბუქად ჩაცმული და უჭმელი.

I სვლიგეზი: წრიული — მეტეხის ხიდიდან, ვთქვათ, ვერეს ხიდამდე (სანაპიროს ორივე მხარის გავლით), ან პირიქით. სვლიგეზის სიგრძეა 3-4 კმ.

II სვლიგეზი: ბოტანიკური ბაღის გავლით ნარიყალას ციხის შემოვლა და კომკავშირის ხეივნით დავითაშვილის ქუჩაზე ჩასვლა, ან პირიქით. სვლიგეზის სიგრძეა 4-5 კმ.

III სვლიგეზი: მთაწმინდის ქუჩით პანთეონში, შემდეგ კი ბილიკით მთაწმინდის პარკამდე ასვლა. აქედან გზის გაგრძელების ორი ვარიანტი არსებობს. პირველი: ოქროყანაზე გავლით თბილისში დაბრუნება, მეორე: ბულბულის ჭალაზე გავლით კუს ტბამდე მისვლა. სვლიგეზის სიგრძეა 8-10 კმ.

მაგალითისთვის ეს ვიკმაროთ. 2-3 საათს სიარულის შემდეგ ისაუზმეთ და ნახავთ, რა მადიანად შეექცევით. რაც მთავარია, უკეთ იგრძნობთ თავს და შესანიშნავ გუნებაზეც იქნებით.

როცა ვიგრძნობთ, რომ მეტი შეგვიძლია, ერთდღიან, ორდღიან და უფრო ხანგრძლივ, უფრო შორ მანძილზე და რთულ პირობებში ლაშქრობაზე გადასვლაც შეიძლება.

**პარტიისა და მთავრობის დადგენილება ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ ხელს უწყობს ასეთი ლაშქრობების მოწყობას. თბილისი** და მისი შემოგარენი მდიდარია სამოგზაურო ობიექტებით. მოვიყვანთ ზოგიერთ მარშრუტს:

ერთდღიანი ლაშქრობა (დილის 6 საათიდან საღამოს 8-9 საათამდე): თბილისი — მუხათგვერდი (მატარებლით) — კარსანი — დიდგორი — დიღომი (სვლიგეზის სიგრძეა 15-18 კმ). დიღმიდან თბილისამდე — ავტობუსით.

ერთდღიანი სვლიგეზის (ღამის თევით) სქემას აქვე ვბეჭდავთ.

ორდღიანი ლაშქრობა (გასვლა პარასკევს 17-18 საათზე): თბილისი — ორბეთი (მანქანით). აქედან შარაგზით — ვერეს ხევში, შემდეგ სოფელ ლევის გავლით — დრემდე (ღამის თევა). მეორე დღეს განვაგრძობთ გზას საკურთხისის მიმართულებით და ჩავალთ ქვათახევში (მეორე ღამის თევა). შემდეგ სოფელ წინარეხის გავლით კავთურას ხეობაში ჩავალთ და რკინიგზის სადგურ კავთისხევიდან მატარებლით იმავე საღამოს თბილისს დავბრუნდებით. სვლიგეზის სიგრძეა 35-40 კმ.

ორი დასვენების დღის სიკეთის გონივრულად გამოყენებით უკეთ გავიცნობთ ჩვენი სამშობლოს ბუნებას, მის მდიდარ წარსულს და მომავალს. ამავე დროს, სულიერად და ფიზიკურად გავკაჟდებით, ლაშქრობიდან დაბრუნებული, ახალი ენერგიით შევუდგებით შრომას.

ს. გვალია,
თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

### შარშან — 7.000, წლეულს — 36.380

თელავის ტურისტული ბაზა (დირექტორი ნ. მთვარელიშვილი) წლევანდელ სეზონს მომზადებული შეხვდა. ეს არცაა გასაკვირი: ჯერ კიდევ სეზონის გახსნამდე ახალი ტურისტული ბაზა, რომელიც ხუთსართულიან შენობაშია მოთავსებული და ერთდროულად 280 ტურისტს გაუწევს მასპინძლობას, უზრუნველყოფილია კარგად მოწყობილი ნომრებით, კლუბით, სასადილოთი, კინოთეატრის ნათელი დარბაზით. მეხუთე სართულზე მოთავსებულია ტურისტთათვის მზის აბაზანის მისაღები აივანი და საცეკვაო მოედანი...

სეზონი აქ 9 მაისს გაიხსნა. ტურბაზამ უკვე მიიღო №№ 306, 79, 126, 350 და 389 მარშრუტების 7 ჯგუფის 140-მდე ტურისტი. პირველნი ლენინგრადელი ტურისტები ჩამოვიდნენ, მერე კი ტაშკენტიდან და მოსკოვიდან გვესტუმრნენ.

თუ შარშან ბაზა 7 ათასამდე ტურისტს მოემსახურა, წლეულს ეს რიცხვი 36.380-მდე გაიზრდება.

ხ. ზეზაბერიძე.

თელავი.

## საფუძვლიანად დამკვიდრდა

აბრეშუმის კომბინატი ქუთაისში ერთ-ერთი დიდი საწარმოა, რომელსაც მრავალრიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივი ჰყავს. ამ საწარმოში 20 წელია არსებობს და ნაყოფიერად მუშაობს ტურიზმის სექცია ტ. გიორგობიანის ხელმძღვანელობით. კომბინატმა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა სამუდამოდ რომ დაიტოვა, ამ გამარჯვებაში წვლილი ტურისტებსაც მიუძღვით.

მარტო შარშან სექციამ ათჯერ მოაწყო შორეული ლაშქრობა. მკვეთრად გაუმჯობესდა მუშაობა მას შემდეგ, რაც საწარმო ორდღიან გამოსასვლელ დღეზე გადავიდა. თითქმის არც ერთ შაბათ-კვირას არ უშვებენ კომბინატელები, ლაშქრობა ან ექსკურსია რომ არ მოაწყონ.

ახლახან ტურისტებმა დალაშქრეს სათაფლია, სადაც გაიმართა შეჯიბრება კარვის გაშლაში, ცეცხლის დანთებაში, წყლის ადუღებასა და 1000 მეტრზე დაბრკოლებათა გადალახვაში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საამქროებისა და განყოფილებების ნაკრები გუნდები. გაიმარჯვა საქსოვი წარმოების ტურისტთა გუნდმა. ამ საინტერესო ღონისძიებაში კომბინატის ასამდე მუშა-მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა.

ტურისტულ სექციასთან შექმნილია თევზაობისა და ნადირობის ჯგუფები. ახლა ნადირობის სეზონი არ არის, სამაგიეროდ, ხშირად ეწყობა შეჯიბრება თევზაობაში. კომბინატელები უმეტესად რიონისა და წყალწითელას სტუმრები არიან.

ლაშქრობის თუ ტურისტული მოგზაურობის საკითხს წინასწარ განიხილავს სექციის საბჭო. მუშა-მოსამსახურეებისთვის საკმაო რაოდენობითაა გამოყოფილი ტურისტული საჭურველი. აქ კარგად იციან, რომ ტურიზმი ჯანმრთელობის წყაროა და ყოველი ახალი ღონისძიებისთვის ხალისით ემზადებიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ეს სახეობა საფუძვლიანად დამკვიდრდა კომბინატელთა შორის.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

### მოგზაურთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ტურიზმის მოყვარულთა ცნობისმოყვარეობის ყოველმხრივ დაკმაყოფილება. ყველა მსურველს, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მოგზაურობის მოყვარული, შეუძლია საკონსულტაციოდ მიმართოს თბილისის ტურისტულ კლუბს (მისამართი: პლეხანოვის პრ. № 5) ყოველდღე (გარდა შაბათისა და კვირისა), 11-დან 19 საათამდე. ტელეფონი 95-75-65.



# ვეტერანი ესტაფეტას გადასცემს



**ლენინგრადი, 27 მაისი.** ლენინგრადელმა სტუდენტმა ნ. კუჩინსკაიამ და მოსკოვის დინამოელმა მ. ვორონინმა კვლავ დაადასტურეს, რომ ტანვარჯიშულ მრავალჭიდში ტოლი არა ჰყავთ. კვირას აქ დამთავრებულ 37-ე საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაში მათ აბსოლუტური ჩემპიონის წოდება და ოქროს დიდი მედლები დაისაკუთრეს.

ნევისპირა ქალაქიდან ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები წაიღეს მოსკოველმა ზ. ვორონინამ და ვიტებსკელმა სტუდენტმა ლ. პეტრიკმა, მოსკოველმა არმიელებმა ს. დიომიდოვმა და ვ. კლიმენკომ.

ქალთა და ვაჟთა ტურნირების შედეგებით, საერთო გუნდური გამარჯვება კვლავ დინამოელებს ხვდათ.

პეტროგრადის მხარეს ოქტომბრის 50 წლისთავისთვის აგებული სპორტის სასახლე „იუბილეინი“ ექვს დღეს მასპინძლობდა ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო ბოლო წლებში. მინითა და ბეტონით ნაგები ამ მრგვალი შენობის ტრიბუნები ყოველ საღამოს სავსე იყო. ასეთ თავგამოდებასა და სიყვარულს ხანდახან ფეხბურთის გულშემატკივრებშიც ვერ შეხვდებით.

გმირი ქალაქისთვის სიმბოლური და ღირსეულია, რომ სწორედ აქ შედგა ტანვარჯიშულ თაობათა თავისებური ესტაფეტის გადაცემის ცერემონიალი. თავისი სპორტული კარიერა დაამთავრა მელბურნის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, მსოფლიოს 1962 წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ბევრი დიდი ასპარეზობის გმირმა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, კიეველმა იური ტიტოვმა. 32 წლის ვეტერანმა აქ მიიღო თავისი ბოლო ჯილდო სპორტულ სარბიელზე — მედალი „თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისთვის“ და უამრავი მილოცვა. ვეტერანს ხელს ართმევდნენ მისი წინამორბედნი ტანვარჯიშის ტახტზე ვალენტინ მურატოვი და ბორის შახლინი, მსოფლიოს დღევანდელი აბსოლუტური ჩემპიონი მიხეილ ვორონინი. ლენინგრადში ი. ტიტოვი შახლინთან და პ. სტოლბოვთან ერთად პირველად მსაჯობდა ტანმოვარჯიშეთა ახალი თაობის შეჯიბრებაზე. ამ ჩემპიონატს კი თამამად შეიძლება სპორტული ახალგაზრდობის ნამდვილი ფესტივალი ეწოდოს.

...სარბიელზე პირველად ქალები გამოვიდნენ. პირადი პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში მათ თავიანთი კლუბების ფორმა საყვარელ ფერებზე შეცვალეს: კუჩინსკაია ალისფერი ტანსაცმლით გამოვიდა, პეტრიკი — შინდისფერით, ვორონინა — ცისფერით... მიმზიდველ სანახაობას მათი კოსტუმები და გაზაფხულის მზის სხივებში გახვეული მოლისფერი ფიცარნაგი კიდევ უფრო ალამაზებდა.

ლენინგრადელების გულის გასახარად მათი ნატაშა კვლავ საუკეთესო აღმოჩნდა. მაგრამ კუჩინსკაიას გულშემატკივრებმა ბევრი მღელვარე წუთიც განიცადეს. მათი რჩეული ლიდერობდა ფინალის პროგრამის ორ სახეობაში — ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში, მაგრამ ბჯენითი ხტომების შემდეგ ერთბაშად ორი მეტოქე გაუშვა წინ. ზ. ვორონინამ აქ 9,5 ქულა მიიღო, პეტრიკმა კი უმაღლესი შეფასება დაიმსახურა — 10 ქულა! ამასთან, პეტრიკმა 10 ქულა მიიღო თავისუფალ ვარჯიშშიც. ამ წარმატებისთვის ვიტებსკელი სტუდენტი ორგზის დაჯილდოვდა მაყურებლის ტაშით და სპეციალური პრიზებით — ბროლითა და ალისფერი ტულიპებით.

ბოლო ცდის წინ პეტრიკსა და ვორონინას 68,5 ქულა ჰქონდა. ისინი 0,125 ქულით უსწრებდნენ კუჩინსკაიას. პეტრიკს ნერვებმა უღალატა და ორძელზე მოწყდა. სამაგიეროდ, ვორონინამ აქ მხოლოდ ორი მეათედი ქულა დაკარგა. ახლა კუჩინსკაიას გამარჯვებისთვის 9,95 ქულა მაინც სჭირდებოდა, მან კი უფრო მეტს მიაღწია. ციფრმა „10“, რომელიც ნატაშას გამოსვლის შემდეგ აინთო ტაბლოზე, დარბაზში სიხარულის ყიჟინა გამოიწვია.

ვაჟთა ასპარეზობაში ყველაზე საინტერესო II-III ადგილებისთვის ბრძოლა იყო, ვინაიდან გამარჯვებულზე ორი აზრი არ არსებობდა. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვორონინი ახლაც უაღრესად დახვეწილად, თანაბრად ვარჯიშობდა ყველა იარაღზე და იგი სამართლიანად ცნეს საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ.

19 წლის კლიმენკომ, რომელმაც ჯერ კიდევ გუნდურ შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი და პირად ჩათვლაში ვორონინის შემდეგ II ადგილზე გავიდა, ფინალში სერიოზული ბრძოლა გაუმართა თავის გამოცდილ თანაკლუბელს დიომიდოვს. მართალია, გამოცდილებამ გაიმარჯვა, მაგრამ კლიმენკოს მოპოვებული ბრინჯაოს მედალიც სასიამოვნო სიურპრიზია ამ ჩემპიონატისა. საკმარისია ითქვას, რომ მან IV ადგილზე გადასწია ვ. ლისიცკი.

ლენინგრადელები მოხიბლა 20 წლის სიმპათიურმა მოსკოველმა არმიელმა ვ. ილინიხმა. იგი უძლიერესთა ხუთეულში შევიდა და დაიმსახურა სპეციალური პრიზები — ელეგანტურობისა და სპორტული გაბედულებისთვის.

ქვეყნის 37-ე ჩემპიონატში გამოიკვეთა ჩვენი ოლიმპიური ნაკრები გუნდების კონტურებიც. შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ მეხიკოში ჩვენი ექვსეულები ისე თანაბარი იქნება ასაკისა და ოსტატობის დონის მხრივ (ეს უკანასკნელი აშკარად ამაღლებულია), როგორც არასოდეს. მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ დაიბრუნონ მსოფლიოს საუკეთესო გუნდების სახელი, რომელიც იაპონელ ვაჟებსა და ჩეხოსლოვაკიელ ქალებს დაუთმეს.

ამასთან, ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ავანგარდსა და ეგრეთ წოდებულ „მეორე ეშელონს“ შორის, რომელშიც ჯერ კიდევაა ბოლომდე გამოუმჟღავნებელი ტალანტები, სხვაობა კვლავ თვალსაჩინოა.

**ს უ რ ა თ ზ ე:** ნ. კუჩინსკაია ბჯენითი ხტომის დროს.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა და ვ. სამოილოვისა.

## ტექნიკური შედეგები

პირადი ჩათვლა (გუნდურ მრავალჭიდში სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების ნახევარჯამი პირადი ტურნირის ნებისმიერი პროგრამის დართვით).

### ქალები

1. ნ. კუჩინსკაია (ლენინგრადი, „ტრუდი“) — 78,875 ქულა,
2. ზ. ვორონინა (მოსკოვი, „დინამო“) — 78,8,
3. ლ. პეტრიკი (ვიტებსკი, „დინამო“) — 77,75,
4. ო. კარასიოვა (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 77,275,
5. ლ. ბურდა (ვორონეჟი, „სპარტაკი“) — 76,9,
6. ა. დემიანენკო (ვორონეჟი, „სპარტაკი“) — 75,725.

### ვაჟები

1. მ. ვორონინი (მოსკოვი, „დინამო“) — 117,45,
2. ს. დიომიდოვი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 117,075,
3. ვ. კლიმენკო (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 116,95,
4. ვ. ლისიცკი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 116.075,
5. ვ. ილინიხი (მოსკოვი, „დინამო“) — 115,25,
6. ი. ცაპენკო (მოსკოვის ოლქი, „დინამო“) — 114,45.

### საერთო ჩათვლა

1. „დინამო“ — 1334,65 ქულა,
2. შეიარაღებული ძალები — 1329,80,
3. „ტრუდი“ — 1280,75,
4. „ზენიტი“ — 1278,80,
5. „სპარტაკი“ — 1277,00,
6. „ბურევესტნიკი“ — 1275,10,
7. „ავანგარდი“ — 1257,60,
8. „ლოკომოტივი“ — 1256,20.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ახალი ამბები

● **მოსკოვი, 28 მაისი.** მიმდინარეობს დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა 46-ე ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობს 8 დიდოსტატი და რამდენიმე ოსტატი. მოასპარეზეთა შორისაა მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი. გაიმართა 3 ტური. მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატებს ავერბახს, შამკოვიჩს, ბრონშტეინსა და ოსტატ ბიხოვსკის 2-2 ქულა აქვთ.

● **სტოკჰოლმი,** 28 მაისი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა თავისი შვედური ტურნე წარმატებით დაამთავრა — მეოთხე შეხვედრაც მოიგო. ამჯერად სტუმრებმა აქ დაამარცხეს „ნეპტუნი“ — 8:2.

● ჰალე, 29 მაისი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო შეჯიბრებამ თანამედროვე ხუთჭიდში. გამარჯვება გაიყვეს უნგრეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა სახელგანთქმულმა ა. ბალცომ, ხოლო გუნდურში — სსრ კავშირის ნაკრებმა. გამარჯვებულებმა მაღალი შედეგები აჩვენეს: მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა 5180 ქულა დააგროვა, ხოლო საბჭოთა გუნდმა — 15027. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, გდრ-ის (3 გუნდი), შვეციის, ბულგარეთის, პოლონეთისა და რუმინეთის ხუთჭიდელები. უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო ხუთჭიდელები — სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. შეჯიბრება უჩვეულოდ დაიწყო: პირველი სახეობა საცხენოსნო კროსი კი არ იყო, არამედ ფარიკაობა. ასევე უჩვეულო გამოდგა ტურნირი ამ სახეობაში: პირველობა აღიარებულმა ფავორიტებმა — უნგრელებმა კი არ მოიგეს, არამედ პირად და გუნდურ ჩათვლაშიც — საბჭოთა სპორტსმენებმა. ყველას აჯობა ერთბაშად ორმა ჩვენმა ათლეტმა — ს. შაპარნისმა და ბ ონიშჩენკომ (1000-1000 ქულა). მეორე სახეობა — საცხენოსნო კროსი, რომელიც საბჭოთა ხუთჭიდელების აქილევსის ქუსლად ითვლება, ჩვენოვის ამჯერად მშვიდობიანად დამთავრდა. კარგი შედეგი მარტო ვეტერანმა ვ. მინეევმა (1010 ქულა) კი არ აჩვენა, არამედ მუდმივმა უიღბლოებმა ონიშჩენკომ და პ. ლედნიოვმაც. პირველმა ე. სდობნიკოვის მსგავსად 950 ქულა მოაგროვა, მეორემ კი კიდევ ხუთ ათლეტთან ერთად — ქულათა მაქსიმალური ჯამი — 1100. სროლაში ყველას აჯობა მინეევმა—193 „სასროლო ქულა“. ბალცო სამ სახეობაში შეჯიბრების შემდეგ გახდა ლიდერი. აი, მისი გამარჯვების ჯამი: ფარიკაობა — 969 ქულა, საცხენოსნო კროსი — 1010, სროლა — 934, ცურვა — 1033, მძლეოსნური კროსი — 1234. II ადგილი დაიკავა შაპარნისმა — 5082 ქულა (ცალკეულ სახეობებში შესაბამისად: 1000, 980, 868, 1027, 1207). III ადგილზეა ონიშჩენკო (5071), IV— იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონი ი. ჩერნერი (გდრ) — 4962. ლედნიოვი მეექვსეა (4874), მინეევი — მერვე (4803). გუნდურ ჩათვლაში II ადგილზეა უნგრეთის ნაკრები, რომელიც გამარჯვებულს სულ რაღაც 30 ქულით ჩამორჩა.

## უკანასკნელი საათი...

◆ **ტოკიო, 29 მაისი.** 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები საპოროში (იაპონია) დაიწყება 3 თებერვალს და 11 დღეს გაგრძელდება. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ასე გადაწყვიტა ამ თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა. შეჯიბრების ვადები უნდა დაამტკიცოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესმა, რომელიც ოქტომბერში გაიმართება მეხიკოში.

◆ **თეირანი,** 29 მაისი. **მოკრივეთა 1969 წლის ევროპული ჩემპიონატი 25 მაისიდან 10 ივნისამდე ჩატარდება არა გფრ-ში, არამედ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. კალენდარში ეს შესწორება შეიტანა კრივის საერთაშორისო ფედერაციის აქ გამართულმა რეგიონალურმა ბიურომ. შეჯიბრების ადგილის შეცვლა გამოწვეულია იმით, რომ დასავლეთგერმანული ფედერაცია კონტინენტის ჩემპიონთა პატივსაცემად ჰიმნების შესრულებისა და ეროვნული ალმების აღმართვის გარანტიას არ იძლევა.**

## იმედიანი რინგი

*თბილისში სამ დღეს გრძელდებოდა ჭაბუკ მოკრივეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გამართულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთისა და ცხინვალის სპორტსმენები.*

*წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაისაკუთრეს: გ. ლორთქიფანიძემ, ი. თევდორაძემ, ი. გოგიბერიძემ (სამივე — ქუთაისი), ს. თომასიანმა, ე. ოგანოვმა, რ. კოჩარიანმა, ვ. სმირნოვმა, დ. კვაჭაძემ (ყველა — თბილისი), დ. ჭურღულიამ, ა. კეროპოვმა (ორივე — სოხუმი), ა. გაბუნიამ (ქუთაისი).*

*შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი მოკრივე გამოავლინა. პირველ ყოვლისა, ქებას იმსახურებენ რუსთაველი დ. ტიტვინიძე (მწვრთნელი ა. ავეტისოვი) და ქუთაისელი გ. ლორთქიფანიძე (მწვრთნელები ი. მარქაროვი და ხ. ვახტანგაძე). ეს ჭაბუკები ყოველ ბრძოლას მაღალ ტემპში, საზრიანად ატარებენ და მათ კრივის გულშემატკივრებს ჭეშმარიტი სიამოვნება მოჰგვარეს.*

*კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ფოთელმა მოკრივეებმაც (მწვრთნელი ლ. თავაძე). ი. ზაოსტროვსკი, დ. ლაგვილავა, თ. ქურციკიძე და ა. გიორგაძე მზარდი სპორტსმენები არიან, რომლებიც სავსებით სამართლიანად ჩარიცხეს რესპუბლიკის ნაკრებში.*

*ასევე პერსპექტიული მოკრივეები გამოგზავნეს საასპარეზოდ სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის ორგანიზაციებმა.*

*ბოლო ხანს ქუთაისელი მოკრივეები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. ტრადიციას მათ არც ამჯერად უღალატეს. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს მძიმე წონის წარმომადგენელი ამირან გაბუნია, რომელმაც ამას წინათ მოზრდილთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამარჯვებული ამირან ნიკოლაძის მსგავსად, მაყურებლებისა და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.*

*სამწუხაროდ, ტურნირს შესაფერისი აუდიტორია არ ჰყავდა. ჩვენი აზრით, ამაში დამნაშავე არიან ისინი, ვინც დროზე ვერ იზრუნა რეკლამისთვის.*

ე. ქელბაქიანი.


**1 ივნისს**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კონფერენცდარბაზში გაიმართება თბილისის მძლეოსნობის მსაჯთა თათბირი, რომელიც მოისმენს მსაჯთა საკავშირო პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვ. ბარბერის (მოსკოვი) მოხსენებას მძლეოსნობაში შეჯიბრების ახალი წესების შესახებ.

თბილისელი არბიტრების დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 15 ს.



თბილისის სპორტული ცხოვრება

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი). **დღეს** — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.




საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ) 8 ‹ უე 03267